

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32 ტელ/ფაქსი: (0422) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 60 ECTS კრედიტს. მათ შორის: - სპეციალობის კურსები - 50 კრედიტი (40 კრედიტი სავალდებულო და 10 კრედიტი არჩევითი); - პედაგოგიური პრაქტიკა - 10 კრედიტი.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია აღზარდოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალ-კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი საბაზო და საშუალო სკოლის საგნის ან საგანთა ჯგუფის მასწავლებელი. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ფარგლებში არსებულ 60-კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამას. მისი გავლა სავალდებულოა საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლობის მსურველთათვის. პროგრამის გავლის შედეგად კურსდამთავრებულები დაეუფლებიან მასწავლებლობისათვის აუცილებელ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, ღირებულებებს, ძირითად სპეციალობაზე მიღებული თეორიული ცოდნის სწავლება/სწავლის მეთოდებს, შეძლებენ განახორციელონ მოსწავლეებისათვის ეროვნების, სარწმუნოების და პოლიტიკური ნიშნით კუთვნილების მიუხედავად თანამედროვე ხარისხის განათლების მიცემას და მასწავლებელთა ერთიანი ეროვნული სასერთიფიკატო გამოცდების ჩაბარებას, მაძიებლობის და მასწავლებლის პროფესიული განვითარების სხვადასხვა პროგრამებში მონაწილეობას.
სწავლის შედეგები	<p>აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> - ცოდნა პედაგოგიკურ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებებში; ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურისათვის საგნის სწავლების მეთოდებში; - საგანმანათლებლო სისტემის სტრუქტურისა და მიზნების; სწავლება/სწავლის-კითხვის, წერის სტრატეგიების და შეფასების თანამედროვე სისტემის თეორიული საფუძვლების შესახებ; - მშობელთა და მოსწავლეთა კონსულტირებისათვის საჭირო ცოდნა; - გაცნობიერებული განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის როლი საერთო საგანმანათლებლო სივრცეში; - ცოდნა ჯანსაღი, უსაფრთხო გარემოს მნიშვნელობის შესახებ. <p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> - სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით; სწავლისა და განვითარების თეორიების გამოყენება პრაქტიკულ საქმიანობაში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვისათვის; - მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა; მოსწავლეთა საჭიროებების განსაზღვრა და მასზე რეაგირება; მოსწავლეებისა და მშობლებისათვის პედაგოგიური კონსულტაციის გაწევა. სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაგებ და აკადემიურ დონეზე წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია; სასწავლო პროცესში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. - სპეციალურ მასწავლებელთან თანამშრომლობით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა და სასწავლო პროცესის მართვა; - საკუთარი პრაქტიკის კვლევის/ანალიზის/შეფასების საფუძველზე ინდივიდუალური პროფესიული განვითარების დაგეგმვა და სწავლა/სწავლების პროცესის გაუმჯობესების სტრატეგიების ჩამოყალიბება; - პროფესიული სიტუაციების ანალიზი, მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტა და დასკვნის გაკეთება. სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაგებ და აკადემიურ დონეზე წერილობითი და ზეპირი კომუნიკაცია.
შეფასების წესი	ცალკეულ სასწავლო დისციპლინაში სტუდენტის საბოლოო შეფასება გამოიყვანება აკადემიური აქტივობის, რეიტინგული შეფასებისა და გამოცდის შედეგების ჯამით. საბოლოო შეფასება განისაზღვრება შემდეგი რანჟირებით: A, B, C, D, E, FX, F.

	<p>A – ფრიადი 91-100 ქულა; B – ძალიანკარგი 81-90 ქულა; C – კარგი 71-80 ქულა; D– დამაკმაყოფილებელი 61-70 ქულა; E – საკმარისი 51-60 ქულა; FX – ვერ ჩააბარა 41-50 ქულა. სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; F – ჩაიჭრა 0-40 ქულა. სტუდენტს საგანი თავიდან აქვს გასავლელი.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>ლელა თავდგირიძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი საკონტაქტო ინფორმაცია: ტელეფონი: (+995) 599 50 64 30 ელ. ფოსტა: lela.tavdgiridze@bsu.edu.ge</p>